განკარგულება:**გ-49. 49263022**
თარიღი:**29/10/2026**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4826299131; 26/10/2026) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის სახელით, 2026 წლის 13 აგვისტოს ხელი მოაწერა „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc. (RPA)"-თან საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს „Bloomberg Philanthropies"-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამის „Youth Climate Action Fund" (,,ახალგაზრდული კლიმატის ფონდი") ფარგლებში გამოეყოფა 50 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი. საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2026 წლის 15 მაისიდან 2027 წლის 14 აპრილის ჩათვლის პერიოდი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და ფინანსური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერს სურს 2026 წლის 1 ნოემბრიდან 2027 წლის 31 მარტის ჩათვლით შრომითი ხელშეკრულებით დაასაქმოს 3 პირი შემდეგ პოზიციებზე: 1. კოორდინატორი, 2. კოორდინატორის ასისტენტი, 3. ფინანსური მენეჯერი, რაც ცხადია საჭიროებს საკრებულოსგან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 2 დამლაგებლის, 2 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1 საკრებულოს

თავმჯდომარის თანაშემწის , ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 4 კონსულტანტის, 1 მერის მდივნისა და 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში, ასევე „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc. (RPA)“-თან საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ერთი კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტისა და 1 ფინანსური მენეჯერის ხელშეკრულების მოქმედების ვადით მიღების შესახებ “.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).



თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი